07/04/2022

სამების ტაძრის ეზოში საკურას ნერგები დაირგო

ა.წ. 6 აპრილს სამების საკათედრო ტაძრის ეზოში საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა იმამურა აკირამ სამღვდელოებასთან, პატრიარქის ნათლულებთან, სმენადაქვეითებულ შშმ პირებთან, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიისა და საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის კოლეჯის სტუდენტებთან ერთად იაპონიის სიმბოლო – საკურას ნერგები დარგო.

ყველამ დიდი მადლიერება გამოხატა ელჩის მიმართ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში შეტანილი წვლილისთვის და ამასთან მიულოცეს დაბადების დღე, რასაც საქართველოს საპატრიარქოც უერთდება.

თავის მხრივ ბ-ნმა იმამურა აკირამ აღნიშნა ქრისტიანობის უდიდესი როლის თაობაზე ქვეყნის ცხოვრებაში და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში.

ზემოაღნიშნული ღონისძიება იაპონიასა და საქართველოს შორის არსებულ ეძღვნა და



patriarchate.ge